



**პროგრამის აღწერილობა**

|   |  |
|---|--|
| <p><b>პროგრამის დასახელება</b><br/>(ქართულად და ინგლისურად)</p>   | <p>ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება</p> <p>Child and Adolescent Psychological Assessment and Counseling.</p>  |
| <p><b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b></p>                           | <p>ფსიქოლოგიის მაგისტრი / Master of Psychology</p>   |
| <p><b>პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება</b></p>    | <p>პროგრამის მოცულობა - 120 ECTS კრედიტი, 4 სემესტრი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ პროგრამის საერთო სავალდებულო კურსები - 50 კრედიტი /პირველი, მეორე და მესამე სემესტრი/;</li> <li>➤ არჩევითი კურსები - 30 კრედიტი;</li> <li>➤ პრაქტიკა ფსიქოლოგიურ შეფასებასა და კონსულტაციაში (მესამე სემესტრი, სავალდებულო) - 10 კრედიტი;</li> <li>➤ სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი /მეოთხე სემესტრი/.</li> </ul>  |
| <p><b>სწავლების ენა</b></p>                                       | <p>საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე</p>  |
| <p><b>პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი</b></p> | <p><b>ლუიზა არუთინოვა</b>, ფსიქოლოგიის დოქტორი, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი</p> <p><b>თეონა ლოდია</b>, ფსიქოლოგიის დოქტორი, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი;</p> <p><b>უცხოელი კონსულტანტი ულრიკე პეტერმანი</b>, ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი, ბრემენის უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგიისა და რეაბილიტაციის ცენტრის ხელმძღვანელი</p>  |
| <p><b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</b></p>                      | <ul style="list-style-type: none"> <li>➤ პროგრამაზე დაიშვება მხოლოდ ფსიქოლოგიის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ფსიქოლოგიაში აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდებსა და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას. აღნიშნული წინაპირობა უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას.</li> <li>➤ შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა განვითარების ფსიქოლოგიაში;</li> <li>➤ მოტივაციის წერილი;</li> <li>➤ გასაუბრება ინგლისური ან გერმანული ენებიდან ერთ-ერთზე (სპეციალურად მომზადებული ტექსტების თარგმნა და წარმოდენა გასაუბრების პროცესში).</li> </ul> |



|  |   |
|--|---|
| <p><b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</b></p> | <p>პროგრამის მიზანი კონცეპტუალურად ეფუძნება უნივერსიტეტის მისიასა და ხედვას, კერძოდ, სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც ექნება ღრმა ფუნდამენტური ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები დარგში</p> <p>სამაგისტრო პროგრამის <b>ძირითადი მიზანია</b> პროფესიონალი ფსიქოლოგის მომზადება ბავშვისა და მოზარდის ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების სფეროში, რაც ხელს შეუწყობს სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვების ფსიქოლოგიური შეფასებისა და დახმარების, მათი მშობლებისა და პედაგოგების კონსულტირების მიმართულებით არსებული საჭიროებების კვალიფიცირებული კადრებით დაკმაყოფილებას.</p> <p>ამ მიზნის განსახორციელებლად დასახული ამოცანები შესაბამისობაშია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში გაწერილ მოთხოვნებთან. კერძოდ, პროგრამა ემსახურება ისეთ ამოცანებს, როგორებიცაა:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ბავშვებისა და მოზარდების შეფასებასა და კონსულტირებისათვის საჭირო თეორიული ცოდნის შექმნა და პრაქტიკული ჩვევების ჩამოყალიბება;</li> <li>2. მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე ბავშვისა და მოზარდის აქტუალური მდგომარეობის შეფასება, პიროვნული და ქცევითი დარღვევების იდენტიფიცირება და დროული ღონისძიებების უზრუნველყოფა;</li> <li>3. სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებთან მუშაობის ტექნიკის დაუფლება, თანამედროვე ფსიქოლოგიურ სივრცეში აღიარებული უცხოური ინსტრუმენტების ქართული ვერსიების შექმნისა და მათი სტანდარტიზაციისათვის ხელშეწყობა.</li> <li>4. მოზარდთა დელიკვენტური ქცევის ფსიქოსოციალური დამცავი და რისკფაქტორების ცოდნა, შესაბამის საკვლევ ინსტრუმენტებთან მუშაობის ათვისება, საგამომიებო/ საპროცესო მოქმედებებისათვის ბავშვის/ მოზარდის ფსიქოლოგიური შეფასება და მხარდაჭერის უზრუნველყოფა.</li> </ol> |
| <p><b>სწავლის შედეგები</b></p>                 |   |
| <p>ცოდნა და გაცნობიერება</p>                   | <p>სტუდენტი:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. კრიტიკულად მსჯელობს სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვების ფიზიკურ, კოგნიტურ და ფსიქოსოციალური განვითარების კანონზომიერებებზე;</li> <li>2. აანალიზებს ბავშვთა და მოზარდთა განვითარების, პიროვნული თუ ქცევითი დარღვევის ნიშნებს. კრიტიკულად განიხილავს ფსიქიკური აშლილობების სადიაგნოსტიკო კრიტერიუმებს, რის საფუძველზეც ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას და სათანადო სპეციალისტის ჩარევის საჭიროების განსაზღვრას;</li> <li>3. სიღრმისეულად აანალიზებს ფსიქოდიანოსტიკისა და ფსიქოკონსულტაციის სფეროში პრინციპული მნიშვნელობის</li> </ol>  |



|   |  |
|---|--|
|   | <p>საკითხებს. აფასებს სხვადასხვა ტიპის სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებს და ფლობს მიღებული შედეგების საფუძველზე კვალიფიციური დასკვნის შემუშავების პრინციპებს.</p> <p>4. კრიტიკულად აანალიზებს ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდებისა და მონაცემთა დამუშავება-ინტერპრეტირების ტექნიკებს.</p>   |
| <p>უნარები</p>                          | <p>სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <p>5. ბავშვისა და მოზარდის აქტუალური მდგომარეობის ადეკვატური შეფასება; არსებული შეფერხებების დროულად გამოვლენა, სათანადო ფსიქოლოგიური გამოკვლევის და დახმარების სტრატეგიის დაგეგმვა, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მშობელთა და მასწავლებელთა კონსულტირება; გამოვლენილი სირთულეების შესაძლო მიზეზთა გამოკვეთა და შემდგომი განვითარების პროგნოზი;</p> <p>6. საკონსულტაციო საქმიანობის პროცესში ეკლექტური მიდგომის გამოყენება, რაც კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით სხვადასხვა თერაპიული ტექნიკების ელემენტების გამოყენებას გულისხმობს;</p> <p>7. კვლევითი სამუშაოს დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა; კვლევის სხვადასხვა მეთოდის – რაოდენობრივი, თვისებრივი, case-study – გამოყენება; გარკვეული ფსიქიკური მოვლენის შინაარსის შესწავლის საფუძველზე შესაბამისი ცვლადების გამოყოფა და მათი საკვლევი მეთოდების შერჩევა, მონაცემთა ანალიზის შესაბამისი სტატისტიკური პროგრამისა და ოპერაციების ადეკვატურად გამოყენება.</p> |
| <p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p> | <p>სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <p>8. სწავლის პროცესის წარმართვა, ცოდნის მუდმივი განახლება. პროფესიული საქმიანობის პროცესში თანამედროვე სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დაცვა;</p> <p>9. საკუთარი პროფესიული განვითარების რეფლექსია, დაგეგმვა და განხორციელება, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კოლეგების მხარდაჭერის საფუძველზე.</p>  |
| <p>სწავლა-სწავლების მეთოდები</p>        | <p>სასწავლო პროგრამა აგებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებზე; სწავლა-სწავლებისას გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- დისკუსია</li> <li>- ჯგუფური მუშაობა</li> <li>- შემთხვევის ანალიზი</li> <li>- გონებრივი იერიში</li> <li>- დემონსტრირების</li> <li>- ახსნა-განმარტებითი</li> <li>- პრაქტიკული მუშაობა</li> <li>- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება</li> <li>- ელექტრონული სწავლება (E-learning) და სხვა.</li> </ul>   |



|  |   |
|--|---|
| <p><b>შეფასების წესი</b></p>                             | <p>შეფასების სისტემა ითვალისწინებს:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.</p> <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.</p> <p>დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მინიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 21 ქულა.</p> |
| <p><b>დასაქმების სფეროები</b></p>                        | <p>ნებისმიერი ორგანიზაცია, რომლის საქმიანობა უკავშირდება სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა აღზრდა-განვითარებას თუ სწავლებას, მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვასა და რეაბილიტაციას, მათთვის პროფესიული დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს სახელმწიფო თუ კერძო კლინიკა, სკოლა და სკოლამდელი დაწესებულება, აგრეთვე, პენიტენციური თუ სხვა ინსტიტუცია; სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების სარეაბილიტაციო სამსახურები, საკონსულტაციო მომსახურების ცენტრები და ა.შ.</p> <p>მიღებული ცოდნის საფუძველზე მაგისტრები საჭიროების შემთხვევაში და გარკვეული გამოცდილების დაგროვების შემდეგ შეძლებენ იმუშაონ არა მხოლოდ ბავშვებისა და მოზარდების, არამედ მოზრდილთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და პროფესიული შერჩევის სფეროში.</p> <p>ისინი შეძლებენ განახორციელონ კვლევითი, საკონსულტაციო თუ საექსპერტო სამუშაო ბავშვთა და მოზარდთა განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური პოლიტიკის სფეროში; აგრეთვე, გააგრძელონ სწავლა დოქტორანტურაში. დაიკავონ აკადემიური თანამდებობა უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებში.</p>   |
| <p><b>სწავლის საფასური ქართველი სტუდენტებისათვის</b></p> | <p>2250 ლარი</p>  |
| <p><b>პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო</b></p>       | <p>პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 14 პედაგოგი, რომელთაგან აკადემიური პერსონალია 9 (1 პროფესორი, 6</p>   |



|  |   |
|--|---|
| <p><b>ადამიანური და მატერიალური რესურსი</b></p>              | <p>ასოცირებული, 2 ასისტენტ-პროფესორი, ხოლო 5 მოწვეული პერსონალი.</p> <p>პროგრამა განხორციელდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის მე-3 კორპუსში, ჭავჭავაძის გამზ. 11. აღსანიშნავია, რომ კორპუსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით კაპიტალურად გარემონტდა 2016 წელს. განახლების შედეგად ფაკულტეტის სარგებლობაში არსებული შენობა და მიმდებარე ტერიტორია სრულიად აკმაყოფილებს სწავლებისა და კვლევის წარმართვისთვის საჭირო მოთხოვნებს, ფლობს აღნიშნული პროგრამის წარმატებით რეალიზებისათვის აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, როგორცაა, სასწავლო და კვლევითი ფართი, ტექნიკური აღჭურვილობა და პროგრამული უზრუნველყოფა.</p> <p>გარდა ამისა, ერთი სემესტრის განმავლობაში გვეძლევა შესაძლებლობა კვირაში რამდენიმე საათით ვისარგებლოთ თბილისის კრიზისული ინტერვენციის სამსახურის კაბინეტებით პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად, რომლის მიზანია სტუდენტებისათვის ბავშვებისა და მოზარდებისათვის ფსიქოლოგიური კონსულტაციის გაწევის სწავლება სუპერვიზიით, პროგრამის მიზნებს ემსახურება უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ფაკულტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზები, რესურს-ცენტრები, აუდიტორიები და სხვა.</p> <p>უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოფილია ინტერნეტთან წვდომა, მათ შორის, საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ რესურსებთან. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შემდეგ ელექტრონულ რესურსებს: Jstor, Ebsco, Erich, Scopus, Thomson.</p> <p>პერსონალის CV-ებისათვის <b>იხ. დანართი პროგრამაში ჩართული პერსონალი.</b></p> <p><b>ფინანსური რესურსები</b></p> <p>პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ფაკულტეტისთვის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფარგლებში, ასევე, უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული ხარჯებით, რომელიც ემსახურება, უნივერსიტეტის ცენტრალური აპარატის ფუნქციონირებას, კომუნალური ხარჯების დაფარვას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნებს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების უზრუნველყოფას. ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის განხილვა დამტკიცების პროცესში ჩართულია ფაკულტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები.</p> |
| <p><b>დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)</b></p> | <p>პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტებს მოხალისეობის საფუძველზე შეუძლიათ დახმარების გაწევა და ამავდროულად პრაქტიკული გამოცდილების შეძენა სხვადასხვა ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრში. მაგალითის სახით შეიძლება</p>   |



|  |  |
|--|--|
|  | <p>დავასახელოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური, რომელთანაც თბილისის ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი. ერთ-ერთ აქტორად მოიაზრება, მოცემული სამაგისტრო პროგრამა და მისი სტუდენტები. წლებანდელ წელს ამ სამსახურის საქმიანობაში მოხალისეობრივ საწყისებზე მონაწილეობდა ორი სტუდენტი. პერსპექტივაში დაგეგმილია სტუდენტების მიერ იქ სავალდებულო პრაქტიკის გავლა.</p> |
|--|--|







| სავალდებულო კურსები |   |    |    |    |    |     |  |   |   |                       |
|---------------------|---|----|----|----|----|-----|--|---|---|-----------------------|
| 1                   | დასწავლის უნარის დარღვევის დიაგნოსტიკა და მშობელთა კონსულტირება     | 5  | 15 | 15 | 15 | 80  | წინაპირობის გარეშე   | X |   | თეონა ლოდია           |
| 2                   | სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისათვის                             | 5  | 15 | 15 |    | 95  | წინაპირობის გარეშე   | X |   | ზაზა ხეჩინაშვილი      |
| 3                   | ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და დიაგნოსტიკა -1         | 5  | 20 | 20 | 20 | 65  | წინაპირობის გარეშე   |   | X | ლუიზა არუთინოვა       |
| 4                   | ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და დიაგნოსტიკა -2         | 5  | 15 | 20 | 25 | 65  | ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და დიაგნოსტიკა -1                                      | X |   | ლუიზა არუთინოვა       |
| 5                   | ფსიქოთერაპიის თეორიები – კოგნიტურ-ქცევითი თერაპია (CBT)             | 5  | 12 | 33 |    | 80  | წინაპირობის გარეშე   |   | X | მარიამ ფანჯიკიძე      |
| 6                   | ბავშვთა და მოზარდთა ასაკის ფსიქიკური აშლილობანი                     | 5  | 15 | 15 |    | 95  | წინაპირობის გარეშე   | X |   | ქეთევან აბდუშელიშვილი |
| 7                   | ბავშვის განვითარების დარღვევების დიაგნოსტიკა                        | 5  | 12 | 24 | 9  | 80  | წინაპირობის გარეშე   |   | X | შორენა მამუკაძე       |
| 8                   | ტესტის ფსიქომეტრული მახასიათებლების შეფასება (SPSS – ს გამოყენებით) | 5  | 15 | 11 | 19 | 80  | წინაპირობის გარეშე   | X |   | ლუიზა არუთინოვა       |
| 9                   | ადამიანის ფიზიოლოგია  | 5  | 15 | 15 | 30 | 65  | წინაპირობის გარეშე   | X |   | ნანული დორეული        |
| 10                  | ინტერვენციის მეთოდები ბავშვთა კლინიკურ ფსიქოლოგიაში                 | 5  | 15 | 15 | 15 | 80  | წინაპირობის გარეშე   |   | X | თეონა ლოდია           |
| 11                  | პრაქტიკა ფსიქოლოგიურ შეფასებასა და კონსულტაციაში სუპერვიზიით        | 10 |    |    | 75 | 175 | ბავშვთა და მოზარდთა ასაკის ფსიქიკური აშლილობანი, ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა 2. | X |   | თეონა ლოდია           |



